



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი N11**

ქ. მარნეული

29.06.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები: -**

ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გულმამედოვი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, გივი ქველაძე, ქამილ ალიევი.

**სხდომას ესწრებოდა:** მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7055 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2017 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

**განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის N1280 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის N280 განკარგულებაში, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ შეტანილი იქნა ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილ გრანტში, ასევე განხორციელდა ერთი შიდა ცვლილება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7055 წერილი, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ოთხი სარიტუალო სახლი გადაეცეს ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეულს“, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ ბიუროს წევრებს, 2017 წლის 1 ივლისს ასამოქმედებელი საჯარო სამსახურის კანონის შესაბამისად, გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი საშტატო ნუსხა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეთერთმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი